

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

აქტივები	შენიშვნა	31-12-24	31-12-23	31-12-22
მოკლევადიანი აქტივები				
ფული და ფულის ექვივალენტები	4	204,030	890,474	347,737
სავაჭრო მოთხოვნები	5	470,400	528,479	826,140
მარაგები		2,788	-	-
სხვა მიმდინარე აქტივები		3,584	30,473	21,970
სულ მოკლევადიანი აქტივები		680,802	1,449,426	1,195,847
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	6	4,304	6,861	10,665
არამატერიალური აქტივები		-	-	-
სულ გრძელვადიანი აქტივები		4,304	6,861	10,665
სულ აქტივები		685,106	1,456,287	1,206,512
ვალდებულებები და კაპიტალი				
მოკლევადიანი ვალდებულებები				
სავაჭრო ვალდებულებები	7	348,080	322,179	237,508
გადასახდელი ხელფასები და სხვა სარგებელი		-	-	-
მიღებული ავანსები		35,050	5,392	1,770
საგადასახადო ვალდებულებები		2,021	45,873	57,432
სულ ვალდებულებები		385,151	373,444	296,710
კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი	8	-	50,150	50,150
გაუნაწილებელი მოგება		299,955	1,032,693	859,652
სულ საკუთარი კაპიტალი		299,955	1,082,843	909,802
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		685,106	1,456,287	1,206,512

დირექტორი

a

მერაბი გოცირიძე

შპს ვებერი ფინანსური ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

სარჩევი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	3
მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშგება	4
კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება.....	4
ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები	5
1. ზოგადი ინფორმაცია	5
2. მომზადების საფუძველი	5
3. კომპანიის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა	6
4. ფული და ფულის ექვივალენტები.....	9
5. სავაჭრო მოთხოვნები	9
6. ძირითადი საშუალებები	9
7. სავაჭრო ვალდებულებები.....	10
8. საწესდებო კაპიტალი	11
9. შემოსავალი რეალიზაციიდან.....	11
10. რეალიზებული მომსახურების თვითღირებულება	11
11. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	12
12. ხელფასები და სხვა სარგებელი.....	12
13. ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან	13
14. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები	13

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

აქტივები	შენიშვნა	31-12-24	31-12-23	31-12-22
მოკლევადიანი აქტივები				
ფული და ფულის ექვივალენტები	4	204,030	890,474	347,737
სავაჭრო მოთხოვნები	5	470,400	528,479	826,140
მარაგები		2,788	-	-
სხვა მიმდინარე აქტივები		3,584	30,473	21,970
სულ მოკლევადიანი აქტივები		680,802	1,449,426	1,195,847
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	6	4,304	6,861	10,665
არამატერიალური აქტივები		-	-	-
სულ გრძელვადიანი აქტივები		4,304	6,861	10,665
სულ აქტივები		685,106	1,456,287	1,206,512
ვალდებულებები და კაპიტალი				
მოკლევადიანი ვალდებულებები				
სავაჭრო ვალდებულებები	7	348,080	322,179	237,508
გადასახდელი ხელფასები და სხვა სარგებელი		-	-	-
მიღებული ავანსები		35,050	5,392	1,770
საგადასახადო ვალდებულებები		2,021	45,873	57,432
სულ ვალდებულებები		385,151	373,444	296,710
კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი	8	-	50,150	50,150
გაუნაწილებელი მოგება		299,955	1,032,693	859,652
სულ საკუთარი კაპიტალი		299,955	1,082,843	909,802
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		685,106	1,456,287	1,206,512

დირექტორი

a 

მერაბი გოცირიძე

მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშგება

	შენიშვნები	2024	2023
შემოსავალი რეალიზაციიდან	9	2,075,212	2,266,329
რეალიზებული მომსახურების თვითღირებულება	10	(1,635,175)	(1,381,182)
საერთო მოგება		440,037	885,147
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	11	(81,251)	(70,650)
ხელფასები და სხვა სარგებელი	12	(671,951)	(653,023)
ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯი		(3,060)	(4,491)
სხვა შემოსავლები		-	2,468
სხვა ხარჯები		-	-
მოგება პროცენტებამდე და საკურსო სხვაობამდე		(316,225)	159,451
საპროცენტო შემოსავალი		16,752	33,484
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)		1,813	(344)
მოგება/(ზარალი) საკურსო სხვაობიდან		(11,913)	(18,586)
მოგება დაბეგვრამდე		(309,573)	174,005
მოგების გადასახადი		(63,548)	(964)
წმინდა მოგება		(373,121)	173,041

კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
ნაშთი 2023 წლის 1 იანვარი	50,150	859,652	909,802
წმინდა მოგება		173,041	173,041
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბერი	50,150	1,032,693	1,082,843
წმინდა მოგება	-	(373,121)	(373,121)
კაპიტალის შემცირება	(50,150)		(50,150)
დივიდენდის გაცემა		(359,617)	(359,617)
ნაშთი 2024 წლის 31 დეკემბერი	-	299,955	299,955

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს ვებერი დაფუძნდა 2014 წელს და რეგისტრირებულია შემდეგ მისამართზე: თბილისი, მთაწმინდის რაიონი, პ. იაშვილის ქ. #8ა. კომპანიის საიდენტიფიკაციო კოდია: 404464085. კომპანიის მეწილეები არიან შემდეგი ფიზიკური პირები:

ნიკა გაბუნია (პ/ნ: 01008045857) - 26.00%

მერაბ გოცირიძე (პ/ნ: 01017038319) - 26.00%

ნანა ხათრიძე (პ/ნ: 01002027457) - 15.00%

დავით ხარიტონაშვილი (პ/ნ: 01005028590) - 33.00%

კომპანიის ძირითადი საქმიანობაა სხვადასხვა ტიპის ინტერნეტ-მარკეტინგული მომსახურების გაწევა კლიენტებისთვის. იგი საკუთარ საქმიანობას აწარმოებს წესდებისა და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანიას მართავენ დირექტორი ნიკა გაბუნია (პ/ნ: 01008045857), დირექტორი მერაბ გოცირიძე (პ/ნ: 01017038319), და დირექტორი ლევანი კოკოლიშვილი (პ/ნ: 13001062485). აღსანიშნავია, რომ დირექტორები ნიკა გაბუნია და მერაბ გოცირიძე ფლობენ კომპანიის 26%-26%-ს.

2. მომზადების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაშვებით - ანუ დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. კომპანიის მენეჯმენტსა და მფლობელებს სურვილი აქვთ, განავითარონ მისი საქმიანობა საქართველოში. მენეჯმენტს სჯერა, რომ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება შესაფერისია კომპანიისთვის.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. ფინანსურ ანგარიშგებაში თანხები წარდგენილია დამრგვალების გარეშე, ქართულ ლარში.

ფასს-ის მიხედვით ფინანსური ანგარიშგების მომზადება კომპანიის ხელმძღვანელობისგან ითხოვს გარკვეული შეფასებების გაკეთებას, რაც გავლენას იქონიებს აქტივებისა და ვალდებულებების ღირებულებაზე ფინანსური ანგარიშგების შედგენის თარიღისათვის, ასევე

იმოქმედებს შემოსავლისა და ხარჯების ოდენობაზე. საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში ფაქტიური შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს მიმდინარე შეფასებისაგან. შეფასებები პერიოდულად გადაიხედება.

3. კომპანიის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

3.1 ვალუტა

კომპანია ფუნქციონირებს საქართველოს ტერიტორიაზე და მის ფუნქციონალურ და წარსადგენ ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი. აქედან გამომდინარე წინამდებარე ანგარიშგების ყველა მონაცემი მოცემულია ქართულ ლარში, თუ სხვაგვარად მითითებული არ არის.

უცხოურ ვალუტაში მოცემული მონეტარული აქტივების და ვალდებულებების მუხლები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსის მიხედვით საანგარიშო თარიღისათვის; რაც შეეხება კონვერტაციის დროს წარმოშობილ კურსთაშორის სხვაობებს, ისინი აისახება ოპერაციის დღეს არსებული ოფიციალური კურსით, მოგებისა და ზარალისა და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშში. 2024 წლის 31 დეკემბრისა და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსები შემდეგია:

	საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი	
	აშშ დოლარი	ევრო
2023 წლის 31 დეკემბერი	2.6894	2.9753
2024 წლის 31 დეკემბერი	2.8068	2.9306

3.2 ძირითადი საშუალებები

კომპანია ძირითადი საშუალებების აღრიცხვას ახორციელებს მსს-ის შესაბამისად.

ძირითადი საშუალებების თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ფასს, მათ შორის იურიდიულ და საბროკერო მომსახურების ღირებულებას, საბაჟო და სხვადასხვა გადასახადებს, ყოველგვარი სავაჭრო ფასდათმობებისა და შეღავათების გარეშე, სხვა პირდაპირ დანახარჯებს, რომლებიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანასა და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან, აგრეთვე აქტივის დემონტაჟთან, ლიკვიდაციასა და ადგილმდებარეობის აღდგენასთან. რაც შეეხება მცირე რემონტის და ტექნიკური მომსახურების ხარჯებს, ისინი აღირიცხება მათი გაწევისას პერიოდის ხარჯად.

აქტივზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ, როდესაც აქტივი იმყოფება იმ ადგილას და მოყვანილია ისეთ სამუშაო მდგომარეობაში, რომ შესაძლებელია აქტივის ექსპლუატაცია ხელმძღვანელობის მიერ დასახული მიზნების

შესაბამისად. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდით, რაც გულისხმობს ძირითადი საშუალებების ღირებულების განაწილებას დარჩენილი მომსახურების ვადის მანძილზე. მიწას და დაუმთავრებელ მშენებლობებს ცვეთა არ ერიცხება. აქტივზე ცვეთის დარიცხვა წყდება მას შემდეგ, როდესაც შეწყდება მისი აღიარება. რაც შეეხება ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადებს, შემდეგია:

ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა (წელი)
ოფისის აღჭურვილობა	3-5
ავეჯი და სხვა ინვენტარი	2-5

აქტივების მომსახურების ვადის დადგენისას გაითვალისწინება შემდეგი ფაქტორები: 1. საწარმოს მიერ აქტივის მოსალოდნელი გამოყენების რეჟიმი; 2. სავარაუდო ფიზიკური ცვეთა, რომელიც დამოკიდებულია სხვადასხვა საწარმოო ფაქტორებზე; 3. ტექნიკური ან კომერციული მოძველება, რომელიც შეიძლება გამოწვეული იყოს კომპანიაში არსებული პროცესების მოსალოდნელი ცვლილებებით ან გაუმჯობესებით; 4. აქტივის გამოყენების საკანონმდებლო ან მსგავსი შეზღუდვები.

საწარმომ ძირითადი საშუალების აღიარება უნდა შეწყვიტოს მისი გაყიდვის/გასვლის შემთხვევაში ან როდესაც გამოყენებიდან და გაყიდვიდან არანაირი ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი. საწარმომ ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტის შედეგად წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი უნდა ასახოს იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც მისი აღიარება შეწყდა. საწარმომ ამ სახის შემოსულობას არ უნდა მიაწიოს ამონაგების კლასიფიკაცია.

3.3 გადასახადები

მოგების გადასახადის მიმდინარე ხარჯი გამოიანგარიშება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. გადავადებული აქტივებისა და ვალდებულებების დაანგარიშება მიმდინარე სხვაობებთან მიმართებაში ხდება ვალდებულებების აღრიცხვის მეთოდით.

2017 წლის 1 იანვრიდან სამეურნეო სუბიექტების მიერ მიღებული წლიური მოგება საქართველოში არ იბეგრება, გარდა სადაზღვევო კომპანიებისა, მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა და ბანკებისა. მოგების გადასახადი ირიცხება დივიდენდებზე, რომელიც გაიცა ფიზიკურ პირებზე ან საქართველოს არარეზიდენტ იურიდიულ პირებზე 15/85 წმინდა განაწილებით. დივიდენდების გადახდით წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება, როგორც ვალდებულება და ხარჯად ტარდება იმ პერიოდში, რომელშიც დივიდენდები გამოცხადდა, მიუხედავად იმისა, თუ ფაქტობრივად რომელი თარიღით ან რომელ პერიოდში მოხდა დივიდენდების გადახდა. 2008 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 1 იანვრამდე დაგროვილი გაუნაწილებელი მოგებიდან გაცემული დივიდენდები იბეგრება მოგების გადასახადით

გამოანგარიშებამდე მთლიანი მოგების დადგენილ ღირებულებაზე, რომელიც შემცირებულია შესაბამისი საგადასახადო ჩათვლით, რომელიც ითვლება როგორც დასაბეგრ მოგებაზე გამოცხადებული და გადახდილი მოგების გადასახადის წილი იმავე წლის მთლიან წმინდა მოგებაში, გამრავლებული გასაცემ დივიდენდებზე. აღსანიშნავია, რომ საგადასახადო ჩათვლის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს დივიდენდების განაწილებიდან წარმოქმნილ რეალურ მოგების გადასახადს.

საქართველოში აგრეთვე მოქმედებს სხვადასხვა საოპერაციო გადასახადები, რომლებიც გავლენას ახდენს კომპანიის საქმიანობაზე. ეს გადასახადები აღირიცხება ზოგად და ადმინისტრაციულ ხარჯებში.

3.4 შემოსავალი რეალიზაციიდან

კომპანია ამონაგებს აფასებს მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებიდან გამოიქვითება კომპანიის მიერ გაცემული ყველანაირი ფასდათმობა. როდესაც ფულადი სახსრების ან ფულადი სახსრების ექვივალენტების შემოსვლა გადავადებულია და შეთანხმება თავისი არსით, ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს, ანაზღაურების რეალური ღირებულება არის მომავალში მისაღები ყველა თანხის დღევანდელი ღირებულება, რომელიც გამოითვლება პირობითი საპროცენტო განაკვეთის საფუძველზე. შემოსავალი არ აღიარდება, როდესაც საქონელი და მომსახურება იცვლება ანალოგიური ბუნებისა და ღირებულების მქონე საქონელსა და მომსახურებაზე ან საქონელი ან მომსახურება იცვლება სხვა სახის ან ღირებულების საქონელზე ან მომსახურებაზე, მაგრამ ოპერაციას არ გააჩნია კომერციული შინაარსი.

3.5 ხელფასები და სხვა სარგებელი

ხელფასები და სხვა სარგებელი მოიცავს საწარმოს მიერ გაცემულ ყველა სახის ანაზღაურებას დაქირავებულ პირთა, მათ შორის დირექტორებისა და ხელმძღვანელობის, მიერ გაწეული მომსახურების სანაცვლოდ. დაქირავებულ პირთა მოკლევადიან გასამრჯელოებად (შრომის ანაზღაურება და ბონუსები) ითვლება ის გასამრჯელოები, რომლებიც მთლიანად უნდა იქნეს გადახდილი იმ საანგარიშო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის განმავლობაში, როდესაც დაქირავებულმა პირმა მომსახურება გასწია. საწარმო დაქირავებულ პირთა გასამრჯელოებთან დაკავშირებულ ყველა დანახარჯს აღიარებს, როგორც ვალდებულებას და როგორც პერიოდის ხარჯს.

3.6 ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები.

კომპანია ხარჯების აღიარებას ახდენს მაშინ, თუ საწარმოდან მომავალი ეკონომიკური სარგებლის გასვლა დაკავშირებული იქნება აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულებების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება. საერთო და ადმინისტრაციული

ხარჯები მოიცავს იჯარის, კომუნალურ, სამეურნეო და იმ ტიპის ხარჯებს, რომლებიც აუცილებელია კომპანიის მიმდინარე საქმიანობის სრულყოფილად წარმართვის უზრუნველსაყოფად.

4. ფული და ფულის ექვივალენტები

კომპანიას ფული განთავსებული აქვს საბანკო ანგარიშებზე.

2024 წლის 31 დეკემბრისა და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საბალანსო ნაშთები:

ფული და ფულის ექვივალენტები	31-12-24	31-12-23
ფული ბანკში ეროვნულ ვალუტაში	195,053	773,449
ფული ბანკში უცხოურ ვალუტაში	8,977	117,025
სულ	204,030	890,474

5. სავაჭრო მოთხოვნები

სავაჭრო მოთხოვნები შედგება იმ დებიტორებისგან, რომელთაც კომპანიამ გაუწია მომსახურება და რომელთაგანაც მომსახურების თანხა ჯერ არ იყო ჩარიცხული 31 დეკემბრის მდგომარეობით. 2024 წლის და 2023 წლის ბოლოსაც კომპანიას ჰყავდა 100-მდე დებიტორი.

6. ძირითადი საშუალებები

2024 წლის მოძრაობა კატეგორიებად წარმოდგენილია ქვემოთ:

ისტორიული ღირებულება	ისტორიული ღირებულება, 1 იანვარი	დამატება	ისტორიული ღირებულება, 31 დეკემბერი
ოფისის აღჭურვილობა	72,010	505	72,515
ავეჯი და სხვა ინვენტარი	21,979	0	21,979
სულ	93,988	505	94,493

დაგროვილი ცვეთა	დაგროვილი ცვეთა, 1 იანვარი	ცვეთის ხარჯი	დაგროვილი ცვეთა, 31 დეკემბერი
ოფისის აღჭურვილობა	66,974	2,388	69,362
ავეჯი და სხვა ინვენტარი	20,154	672	20,826
სულ	87,128	3,060	90,189

2023 წლის მოძრაობა კატეგორიებად წარმოდგენილია ქვემოთ:

ისტორიული ღირებულება	ისტორიული ღირებულება, 1 იანვარი	დამატება	ისტორიული ღირებულება, 31 დეკემბერი
ოფისის აღჭურვილობა	71,421	589	72,010
ავეჯი და სხვა ინვენტარი	21,882	97	21,979
სულ	93,303	686	93,988

დაგროვილი ცვეთა	დაგროვილი ცვეთა, 1 იანვარი	ცვეთის ხარჯი	დაგროვილი ცვეთა, 31 დეკემბერი
ოფისის აღჭურვილობა	63,344	3,630	66,974
ავეჯი და სხვა ინვენტარი	19,294	861	20,154
სულ	82,638	4,491	87,128

7. სავაჭრო ვალდებულებები

2024 წლის 31 დეკემბრისა და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საბალანსო ნაშთები:

სავაჭრო ვალდებულებები	31-12-24	31-12-23
არარეზიდენტი პირების მიმართ	268,825	270,388
რეზიდენტი პირების მიმართ	79,255	51,735
დაკავშირებული ფიზიკური პირების მიმართ	0	56
სულ	348,080	322,179

8. საწესდებო კაპიტალი

2023 წელს საწესდებო კაპიტალში ცვლილებები არ განხორციელებულა. 2024 წელს მოხდა საწესდებო კაპიტალის სრულად შემცირება.

9. შემოსავალი რეალიზაციიდან

კომპანიის შემოსავლის ძირითადი წყაროები იყოფა შემდეგ კატეგორიებად:

- ონლაინ მარკეტინგი
- SEO ოპტიმიზაცია
- ლოკალური ბანერების განთავსება
- ვებ-გვერდების დამზადება
- სოციალური ქსელების ადმინისტრირება
- ციფრული რეკლამის მართვა
- ვიზუალური ბრენდინგი

საწარმოს შემოსავლები აქვს ძირითადად ქართულ ბაზარზე მოღვაწე კომპანიებისგან, რომელთა მიზანიცაა ბრენდის შექმნა/გამდიერება და გაყიდვების გაზრდა.

10. რეალიზებული მომსახურების თვითღირებულება

საკუთარი მომსახურების გაწევისას, რიგ შემთხვევებში, კომპანია სარგებლობს მესამე მხარის მომსახურებებით. კერძოდ, კომპანია ახდენს სხვადასხვა მომსახურებისა და პროდუქციის შესყიდვას, როგორც იურიდიული ასევე, ფიზიკური პირებისგან. გარდა ამისა, განხორციელებული პროექტების ფარგლებში, კომპანიას უწევს მასალების შეძენა და უტილიზაცია.

ამ დანახარჯების ჩაშლა კატეგორიებად წარმოდგენილია ქვემოთ:

რეალიზებული მომსახურების თვითღირებულება	2024	2023
არარეზიდენტებისგან მიღებული მომსახურება	1,205,383	1,238,936
რეზიდენტებისგან მიღებული მომსახურება	426,516	141,608
მასალების დანახარჯი	3,276	638
სულ	1,635,175	1,381,182

11. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები

2024 და 2023 წლებისთვის ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯების ჩაშლა კატეგორიებად წარმოდგენილია ქვემოთ:

ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	31-12-24	31-12-23
საბუღალტრო მომსახურების ხარჯი	43,200	43,200
საბანკო ხარჯი	2,864	2,681
კომუნალური ხარჯი	721	2,655
ტრენინგის ხარჯი	0	1,913
იჯარის ხარჯი	0	0
მიწოდების ხარჯები	22,806	1,686
ძირითადი საშუალებების ექსპლუატაციის ხარჯები	174	1,352
სხვა	11,486	17,163
სულ	81,251	70,650

12. ხელფასები და სხვა სარგებელი

ხელფასები და სხვა სარგებელი მოიცავს საწარმოს მიერ გაცემულ ყველა სახის ანაზღაურებას, დაქირავებულ პირთა, მათ შორის დირექტორებისა და ხელმძღვანელობის მიერ გაწეული მომსახურების სანაცვლოდ.

ხელფასებისა და სხვა სარგებლის ჩაშლა კატეგორიებად წარმოდგენილია ქვემოთ:

ხელფასები და სხვა სარგებელი	31-12-24	31-12-23
სახელფასო ხარჯი	639,423	618,217
საპენსიო და სხვა სარგებელი	32,528	34,806
სულ	671,951	653,023

13. ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან

2024 და 2023 წლებში მენეჯმენტზე დარიცხულმა კომპენსაციამ შეადგინა 91,015 ლარი და 81,666 ლარი შესაბამისად.

14. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ ადგილი არ ჰქონია ისეთ მოვლენას, რომელიც საჭიროებს ფინანსური ანგარიშგების კორექტირებას ან დამატებითი ინფორმაციის გამჟღავნებას.